№ 15. 22 იანვარი, ხუთშაბათი. 1866 – 1881 22 იანვარი, ხუთშაბათი. № 15.

დროება

გამოდის ყოველ-დღე ოთხშაბათის გარდა

რედაქცია

გალაკტიონ ბრაუნშვეიგზე, ივ. მუხრანელის სახლში, კლუბის ქვემოთ

ხელის-მოწერა

მიიღება „დროებაში“ „ივერიის“ რედაქციაში. გარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисѣ, въ редакціи „Дроэба“-„Иверіи“.

„დროებაზე“-„ივერიის“ ფასი

წელიწადში. 6 თვეს. 3 თვეს

„დროებაზე“-„ივერიაზე“ ერთად . . 14 მან. . . 8 მ. . 5 მ.
ცალკე { „დროებაზე“. . . . . 9 მან. . . 5 მ. . 3 მ.
{ „ივერიაზე“. . . . . 7 მან. . . 4 მ. . 2 მ.

ცალკე ნომერი „დროებისა“ ღირს 5 კაპ.

ფასი განცხადებისა

დიდი ასოებით ხაზზე 1 კაპ. ხუთულებისგან ერთ ხაზზე ნახევარი. ექვსულებისგან ერთ ხაზზე შეოთხედი კაპ.

თუ ხაჭირავება მოითხოვს, რედაქცია გასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად ცამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდელ წერილს რედაქცია ფოსტით კერ დაუბრუნებს ავტორს.

განცხადებანი მიიღება ქართულს, რუსულს და სხვა ენებზედ.

ტელეგრამმები

(ხალხთა შორის სააგენტოსი)

ლონდონი, 19 იანვარს. ქარლეილი მძიმე ავათმყოფი შეიქნა.

იტალია, 19 იანვარს. ფილოქსერის კომისიამ გარდაწყვიტა გუშინ, რომ ავათ-მყოფი ვაზის წამლობას თავი დაანებოს და ყველგან, საცა კი ვენახს ფილოქსერა გამოაჩნდება, აჭრას ეს ვენახი და იმის ძირები დასწვას; კომისიამ უნდა დაათვალიეროს მაისამდინ ყველა ვენახები ქირიმისა; ამისათვის ჭენევიდამ მოკდნე კაცი მიიპატიჟეს; ესვე კომისია შუამდგომლობს მთავრობის წინაშე შავის ზღვის სამხრეთ ნავთ-სადგურებში ყველგან აღკრძალული იყვეს სხვა ქვეყნებიდამ ვაზებისა და ხეხილის შემოტანა. ამას გარდა კომისიამ გარდაწყვიტა, რომ გააშენოს ამერიკის ვაზის ვენახი და მერე ამ ვენახის ნერგები დაურიგოს ხალხს, რადგან იმას ფილოქსერა ვერ ავნებს.

„ბაზ. „ნოვოსტს“ გაუგონია, შინაგან საქმეთა მინისტრს განზრახვა აქვსო, რომ ადარავის მისცეს უფლება ჟურნალ-გაზეთების გამოცემისა, რადგან რაც ახლა დროა-გამოშვებითი გამოცემაა, ისიც საკმაოაო.

პეტერბურლის ბირჟა, 20 იანვარს.

(„ხალხთა-შორის ტელეგრაფის სააგენტოსი“)

ბანკის ბილეთები:	მან.	კაპ.
პირველი ვამოცემისა—	—	95—12
მეორესი — — — —	93—	25
მესამესი — — — —	93—	50
მეოთხესი — — — —	93—	12
ალმოსავლეთის პირე.—	— 92—	„
ალმოსავლეთის მეორე	— 92—	25
ალმოსავლეთის მესამე	— 92—	„
ოქროო, ½ იმპერიალი—	— 7—	83

ოფილისის საადგ.-მამ. ბანკის ვექსელი — — „ — „

შინაგანის 5% სესხი ბილეთები:

	მან.	კაპ.
პირველი სესხის	— — 221—	„
მეორე სესხის	— — — 220—	50

1 მანეთი ღირს:

ლონდონი — —	25—	19 პენსი
ბამბურღი — —	214—	50 ცენტი
პარიჟი — — —	266—	„ სანტიმი.
ვენა — — —	129—	50 ჰფენიგი
კავკასიის კერასინი — —	—	

«დროების» ფელეტონი, 22 იანვარს.

წერილები საფრანგეთიდგან

პარიჟის თეატრები

XII

დღეს კარგი შემთხვევა მაქვს გავაცნო მკითხველები იმისთანა საზოგადოებრივ ცხოვრების ერთს მხარეს, რომელიც შესაძლებელია მარტო აქ საფრანგეთში. ეს მოვლენა, ეს საზოგადო მოძრაობა, ამ გვერი სურათები და მოქმედება მარტო აქაური ხალხის კუთვნილებას შეადგენენ.

L' Odéon-ის თეატრში თამაშობენ ამ ჟამად ალფონს დოდეს და ლაფონტენის დრამას „ჟენ“. აი ამ დრამის შინაარსს რომ მოგიყვებით, იქიდამ სცნობთ—თუ რა სხვა და სხვა აზრის, მიმართულების და ხასიათის ხალხი მოიპოვება ამ მართლა გასაკვირველ საფრანგეთში:

მარტო პარიჟში რომ მწერლები

გვყვება ‹ხოლოდ ნიჭი, გონებ›; ცოდნა კი პირველათ არაფრისა არ გვაქვს, ეს ჩვენ შემდეგში უნდა შეეიძინოთ კითხვით და მეცნიერთა ნააზრების მოსმენით.

ბონების გავარჯიშების ამ უკანასკნელ საშუალებას ჩვენი სოფლის მასწავლებლები უდროოთ აკლდებიან; მაშასადამე, პირველ და აუცილებელ საჭიროებას უნდა შეადგენდეს მათთვის. ამ გონების განათლების ლონის-ძიებას „საქართველოში წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება“ მიანიჭებს სოფლის მასწავლებლებს სასოფლო ბიბლიოთეკების დაარსებით.

ბ) ბარდა ყველა ამისა, ჩვენ არც ის უნდა მივსცეთ დავიწყებას, რომ პირველი და უმთავრესი მიზეზი, რომლის წყალობითაც სია სოფლის მასწავლებელთა აღვსილია ოთხ-კლასს დასრულებული ახალ-გაზდების სახელებით და საშუალ განათლების მიმღებნი იმაში აქ-იქ ახალ ხილვით გამოერევა ხოლმე, არის სოფლის სკოლებში უბიბლიოთეკობა. ამისი დამტკიცება მე ადვილათ შემიძლია ჩემის სემინარიაში ცხოვრებიდგან, და თვითონ ვარ მოწმე გაცხარებული და აღტაცებული ბაასისა, რომელიც ხშირად ატყდებოდა ხოლმე ჩვენ-შორის, როდესაც ცხოვრებაში გასვლის წუთზედ დავიწყობდით სჯას.

— ღირს თუ არა სოფლის მასწავლებლათ წასვლა?

ეს იყო ჩვენთვის ჩვეულებრივი საბაასო საკანი, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც სემინარიის სტუდენტებს მოუსპეს ნება უმაღლეს სასწავლებლებში სწავლის გაგრძელებისა და ოთხ-კლასიან სასულიერო სასწავლებლებში მასწავლებლობისა. სოფლის სკოლაში მასწავლებლობა თითქმის ყველას მიგვაჩნდა ჩვენს წმინდა და კეთილ მიზნათ. აი დედააზრები, რომლებზედაც ვამყარებდით ჩვენ ამ გადაწყვეტილებას. ჩვენ ზნეობით მოვალე ვართ შეეწიოთ და ვემსახუროთ იმავე ხალხს, რომელშიაც დაბადებულვართ; იმათი კეთილი წარმატება და ცხოვრების გაუმჯობესობა დამოკიდებულია სწავლა-განათლებაზე, ეს უსკოლოთ არ შეიძლება; მაშასადამე, გამოგვყავდა: ჩვენი პირველი მოვალეობაა სოფლის მასწავლებლებად წავიდეთ.

მეორე ამ ხასიათისვე საფუძველი: ყოველი ხალხის და ქვეყნის დღეგრძელობა და წინ მსვლელობა დამოკიდებულია განათლებაზე. ბანათლებას ეს მკურნელი მნიშვნელობა მაშინ ექნება, მხოლოდ მაშინ, როდესაც ის იბადება და იწყობა თვით დაბალ ხალხში! წინაღმდეგ შემთხვევაში, რამდენიმე განათლებული პირი კიდევაც რომ ჰყავდეს ხალხს წარმომ დგენელი, ეს ძლიერ ცოტას ნიშნავს და ხალხის ბედი ამაზე ვერ დატრიალდება.

ამ ნაირათ ჩვენ ისევ იმ აზრზედ ვდგებოდით, რომ უნდა ვემსახუროთ

ლი ბაკ. ადვილად წარმოსადგენია ბაკის მდგომარეობა.

ადა სრულიად არ აქცევს იმას ყურადღებას; თუმცა უყვარს, მაგრამ ამ გვარ ქალებს, კვალზე ვადამცდარებს, არ ესმით სრულიად უბრალო კანონები შვილის აღზრდისა. 6-7 წლის ბაკი მიაბარეს ისეთს პანსიონში, სადაც ბავშის გონება სულ გაიფუტა, სადაც ყმარწვილებს, არა თუ ასწავლიან რასმეს, არამედ სიბინძურის, გარყვნილობის მეტს ვერაფერს შესძენენ. ამ გვარ სასწავლებლებში ბავშებს თითქმის მოსამახურეთ, მზარეულად გადააქცევენ ხოლმე.

თვითონ პოეტი დ. არჟანტონი, არა თუ ბაკზე ჰფიქრობდეს—რასმეს, არამედ თავის საყვარელსაც ისე ეჭცევა, როგორც საკუთარს რასმე ნიეთს. იმას მარტო თავის თხზულებებიდამ ამოჰყავს ციტატები, აღტაცებაშია თავის ლექსებით, რომლებიც არსად არ დაბეჭდეს და რომელსაც არაეინ ჰკითხულობს დამწერის გარდა.

ის ისე გატაცებულია იმ აზრით, რომ ‹ს არის ნიჭიერი პოეტი, შეუდარებელი მწერალი, რომ გარშემო ცხოვრებას სრულებით თვალს არ ადევნებს, არ შეუძლიან ფიქრი არაეითარ რეალურ, ცხოვრების მოვლენებაზე. საყვარლები ცხოვრებენ სოფელში, პარიჟის ახლოს, სადაც დროგამოშვებით „ძალად პოეტი,“ მოიწვევს თავისვე მსგავს მომღერლებს არტისტებს მხატვრებს; ეწვევიან ქალებს, — პოეტნი კითხულობენ სრულიად პოეზიას მოკელბულ თხზულებებს, მომღერლები, ხმის უკონონი, მღერიან სხვა-და-სხვა ოპერებიდამ არიებს და სხვ.

აი ერთს ამ გვარ ქეიფის დროს ადა ბერანსი გაიგებს, რომ იმის ვაჟი ბაკი გაპარულა პანსიონიდამ, სადაც ცხოვრება გატანჯული ჰქონოდა და დამდგარა მენახშირეთ ერთს გემზე. ბრიოდ ტკბილს სიტყვას იტყვის თავის შვილზე ეს უმზგავსო ცხოვრებისაგან გამოჩერჩეტებული ქალი, ამ ამბის შეტყობაზედ და მოჰყვება ისევ თავის საყვარლის ალერსს. თვითონ

პირ-და-პირ ხალხის განათლებას. ეს აზრი ყველასთვის უბრალო ჭეშმარიტებაა შეადგენდა; მაგრამ, ჩვენდა საუბედუროთ, რჩებოდა ნამდვილ „ხმათ მღაღადებლისა უდაბნოსა შინა“ და ნატერა იშვიათს ჩვენთაგანს ახდენია. ჩვენს სურვილს ბევრის და მძიმე დაბრკოლებისგან გზა ეკერებოდა და მარტოკა სურვილად გვრჩებოდა, სასრულეში ვერ მოგვყავდა. აი მიზეზი:

თითქმის ყველა ამბობდა, რომ ეს თუმცა კეთილი სურვილია, მაგრამ ჩვენთვის არ გამოდგება; წავალთ სოფელში და ისეთი ცოტა ცხოვრების საშუალება გვექნება, რომელიც საჭმელ-სასმელს და ტანისამოსს ძლივს გვაპოვნინებს წიგნების საყიდლათ და ჟურნალ-გაზეთების გამოსაწერათ გროში ალარ დაგვრჩება; თუ ესენი არ გვექნება, ჩვენ ორი-სამი წლის განმავლობაში, რაც გვისწავლია და გაგვიგონია, ისიც სულ დაგვავიწყდება, მალე ისეთივე შავათ და ბნელათ-ღებული ფერი დაგვედება, როგორითაც სწავლის დაწყებამდის ვიყავით შემოსილი; აბა ხალხს რალას წავადგებით? ამისათვის ვამჯობინებდით სადმე ისევ ქალაქშივე შეგვეფარა თავი, თუნდა უმცირეს ჯამაგირზედაც. ვამბობდით: რა ხდება სხვა-დასხვა ქვეყნებში იმას მაინც გავიგონებთო.

სოფლის ბიბლიოთეკების დაარსებით მოისპობა ყველა ეს დამბრკოლებელი მიზეზები. ჯამაგირიც, რომელსაც „წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება“ უნიშნავს თავის დაარსებულ სკოლების მასწავლებლებს, არ არის მცირე და ამ საშუალებით ჩვენს სოფლის სკოლებს შემდეგში უმჯობესი მასწავლებლები გამოუჩნდება.

აგე სასოფლო ბიბლიოთეკის დაარსებით ორგვარათ გაუმჯობესდება ჩვენი სოფლის სკოლების მასწავლებელთ წრე და ამედია საქმეც კარგათ წავა. უსწავლელნი განისწავლიან, ნასწავლნი მოიპოვებიან და უკეთ განმტკიცდებიან; ეს საქმეს ერთი ორათ გააცოცხლებს.

ყველა ეს „საქართველოში წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას“ ჩვენზედ უკეთ ესმის და, რასაკვირველია, არ დაიზარებს სასოფლო ბიბლიოთეკებს გახსნას.

დაბრკოლება თუ ამოუჩნდა, მხოლოდ საშუალების უქონლობა იქნება; ამისათვის ყოველი ქართველი და ყოველი კაცობრიობის წარმატების მოსურნე ზნეობით მოვალეა, შეძლებისა გვარათ, ამოუჩინოს ამ საზოგადოებას შემწეობა მძიმე და დიდათ სასარგებლო საქმის სისრულეში მოყვანისთვის. რაც ერთსა და ორს არ შეუძლია გააკეთოს, იმას ბევრნი და უმეტესათ ყველანი ერთობით ადვილათ შესძლებენ...

ვიმედოვნებთ და გულითად ვისურვებთ, რომ ჩვენმა საზოგადოებამ შესძლოს ამ ძნელი, სათანაგრძნობო და ერთობ სასარგებლო საქმის განხორციელება და ამით გაამაგროს, მტკიცე ფეხზედ წამოაყენოს ჩვენი ხალხის განათლების საქმე.

ნ. ფსაგაძე.

სურგის ბასადი 10 ივნვარს.

ახალი ამბები

„მმართებლობის მოამბეში“ დაბეჭდილია რუსეთის იმპერიის 1881 წლის შემოსავალ-გასავლის არგარიში, რომლიდამაც სჩანს, რომ მოძავალ წელს რუსეთის ხაზინა მოელის შესავალს სულ—717,461,609 მანეთს და ამდენსავე გასავალს.

ამ ანგარიშიდამ ქავკასიის მხრიდამ შემოსავალი იქნება—8,599,089 მან. და გასავალი (სამოქალაქო გამგეობისათვის)—8,158,326 მან.

* * *

ზემო-იმერეთიდამ გვაცნობებენ, რომ შობის წინ ღამეს რომ სოფ. ჯალაურთში გლეხის ბავშვი დაიკარგა, მეთერთმეტე დღეს ნახეს ერთს ტყეშია. ექიმმა შეამოწმა, მაგრამ ვერაფითარი ნიშნები ვერ ამოაჩინა ძალ-დატანებით მოკლისაო. უმაწვილი მარტო პერანგისა და იმის ამხანაგის-ამარა ევდო ტყეში და უეჭველია, გზა დაბნეია და სიცივისა და შიმშილისაგან მომკვდარაო.

ესეც კიდევ ერთი მაგალითი და დამტკიცება რომ ებრაელებს ცილს სწამებენ, როდესაც ამბობენ, რომ ისინი ქრისტიანის ბავშს აწვალებენო...

* * *

ქავკასიის ნამესტნიკის მთავარ-სამმართველოსთან, როგორც გაზ. „ქავკაზი“ გვაცნობებს, ფუძნდება ცალკე კომისია, რომელსაც მინდობილი ექნება, ყოველივე ლონის-ძიება იხმაროს, რომ ჩვენს ქვეყანაში ფილოქსერა არ გავრცელდეს. კომისიას შეადგენენ სახაზინო მამულების ზამკეობის უფროსი ნ. პრიბილი, ქიმიკოსი სტრუვე და სამი წევრი ქავკასიის სამეურნეო საზოგადოებისა.

* * *

ამავე გაზეთის სიტყვით, თფილისში არსდება უმთავრესი (ცენტრალური) კომიტეტი კალიის წინააღმდეგ საბრძოლველად. ამ კომიტეტის დარიგებითა და ხელ-მძღვანელობით იმოქმედებენ ყველა დანარჩენი კომიტეტები და კალიის ამოსაწყვეტად დანიშნული პირები.

* * *

სპარსეთის ელჩს მიწერ-მოწერა აქვს თავის მთავრობასთან იმის თაობაზედ, რომ ამ უკანასკნელ დროს ქავკასიაში ერთობ ბევრი სპარსელები გადმოესახლნენო.

სახელმწიფო რჩევამ გადაწყვიტა, ქავკასიის დამოკიდებულება პირ-და-პირ ფინანსის სამინისტროს ექვემდებარებოდეს.

* * *

ქართლიდამ გვწერენ, რომ ამ თვის 8-ს სოფ. ...ში ...ათ ორ-კლასიანი ... ...ეს-წავლებელი. ...ნისათვის ...ვე სასწავლებელში შესვლის სურვილიასს ...ვილს გამოუცხადებია. ...ამ სასწავლებლის ზედამხედველად დანიშნულია ბ. ს. ჯაფარიძე.

* * *

ბაჩეთს „მშაკში“ იწერებიან, რომ ერთს ახალ-გაზდა სომეხს, რომელსაც ეჩმიაძინის აკადემიაში შეუსრულებია სწავლა, განუზრახავს სომხური ჟურნალის გამოცემა ქ. შუშაში. ჟურნალს „საქმე“ ერქმევა სახელადაო.

* * *

ბაზეთ „ქავკაზში“ სწერენ, რომ კომისიამ შესახებ პროფესიონალური განათლებისა ქავკაზიაში, თავის უკანასკნელ სხდომაზე 13 ივნვარს განიხილა პირველი პროექტი ქავკაზიის პოლიტეხნიკურ ინსტიტუტისა. ჯერ ჯერობით გარდასწყვიტეს, მთელი ხუთი წლიური კურსი ორ ნაწილად გაეყოთ: საზოგადო, რომელიც უნდა ვიარონ ორ წელიწადში და სპეციალური, რომლისთვისაც დანიშნულია სამი წელიწადი, უკანასკნელი წელიწადი უმთავრესად პრაკტიკულ მუშაობისთვის.

სპეციალური კურსი განიყოფება სამ ნაწილად, ანუ ფაკულტეტად: ქიმიკო-ტეხნიკური, მთიური და სამეურნეო; მთიური ნაწილი განიყოფება სამ ხარისხად: თვითონ მთიური, მთიური ზეაოდებისა და გეოლოგიური; მეურნეობისა—ორად: აგრონომიული და ტყიური.

ალმორჩევა განყოფილებისა შეუძლიანთ მოსწავლეთა მხოლოდ მესამე წელიწადს, ე. ი. შემდეგ მტკიცედ საზოგადო საგნების შესწავლისა.

სახელმწიფო სტიპენდიატების რიცხვი დანიშნეს 150; 50 თითო განყოფილებაში.

ყველას, ვისაც გაუთავებია გიმნა-

წელიწადში 20-30 ათასობით ხარჯავს, ბალებში, თეატრებში, კონცერტებზე დადის და შვილისას კი ყველაფერს იეიწყებს.

ყველას გაუგონია, რა საშინელი სამსახურია მენახშირეობა გემზე: დღე და ღამ ცეცხლში, ქვის ნახშირის სუნის ყლაპვა, მუდამ სიცხე და ამის შედეგი ოფლი, ოფლზე ნახშირის ქაფი, მყრალი ჰაერი, ცუდი საჭმელი,—ყველა ამას თუ წარმოიდგენთ ისიც უნდა წარმოიდგინოთ—თუ რა ნაირ ზედმოქმედებას იქონიებდა ეს სამსახური 17-18 წლის ბაკზე.

ბაკი დაეჩვია ამ სამსახურში მაგარ სასმელებს; ამ დამლუპველ სენს ის ხმარობდა თავის სიყმაწვილის ჯავრიან ცხოვრების მისავიწყებელად.

ბემი ილუპება და ბაკი რაღაც ბედად გადარჩება ცოცხალი და ჩამოვა პარიჟში. ესმის ყოველი თავის მდგომარეობა, ხედავს, რომ დედამიწის ზურგზე იმისათვის არა ყოფილა, არავინ მზრუნველი, არავინ მოსიყვარულე, სრულებით მოუმზადებელი თავის შრომით რჩენას. ის ახლოს არის იმ აზრთან, რომ გახდეს ავაზაკი, კაცისმკვლელი; მაგრამ კიდევ ბედათ ბაკს ამოუჩნდება ერთი კეთილი პირი დოქტორი რიეალი, რომელიც მიიღებს თავის სახლში და დაუწყებს სწავლებას, რჩევას. ბაკი განაგრძობს სიმთვრალეს; მაგრამ რიეალის და იმის ქალის ზედმოქმედებით აკ სენსაც თითქმის თავს ანებებს.

ბაკი კარგ გზაზეა დამდგარი!

ამ ამბებს ყველაფერს ეტყობულობთ დრამის მეოთხე მოქმედებიდამ. მეოთხე მოქმედებაში ბაკი ისეთს გზაზე დამდგარა, რომ შეუძლიან თავისთვის ლუკმა-პურის შოვნა. მარტო ლუკმა-პურის, ე. ი. ღარიბათ ცხოვრება. ბინება გახსნილი აქვს იმდენათ, რომ თავის დედის ამ გვარ ცხოვრებას საზიზღათ სთვლის და დიდის ხვეწნით და ცდით მოახერხებს, რომ დედამ მიატოვოს თავის საყვარელი და იცხოვროს იმასთან.

ღმერთო ჩემო, რა ნაირი ქალია ეს ნდა ბერანსი! რამდენი სასაცილო და მასთანვე სამწუხარო ჩვეულებები და ზნე შეუძენია იმ გვარ ცხოვრებაში, რომელსაც ის ატარებდა აქამდისინ. შვილი ეიყვარულება საშინლათ, ეუბნება, რომ ჩვენ თვითონ ჩვენი ოჯახობა გვექნება, მე იმდენის შეძენა შემიძლიან, რომ სადილის და სახლის ქირას გადვიხდით, მაგრამ საჭიროა ძალიან ეკონომიით ცხოვრება, რომელსაც შენ, ჩემო საყვარელო დედა, სრულებით შეუჩვეველი არა ხარო!

დედა ეთანახმება ყველაფერზე და ახლავე ეკონომია მოვყვეთო, ამბობს,—მოსამსახურე სრულებით საჭირო არ არის, მე თვითონ ვიელი ბაზარში, ყველაფერს ვიყიდი და ეკონომია იქნებაო. მიდის ათი სუს (15 კაპ.) ყველის საყიდლათ და კარტოფილს ქირაობს საათობით, რომ ნაყიდი სამი შაურის ყველი მოიტანოს. ეს მისი ეკონომიის მინუშათ მომყავს.

აქვე პოეტი დ. არტანტონი მოდის ამათთან და უნდა ილა ისევ დაიბრუნოს. ქალი მეორე ოთახშია და ბაკი კი სცენაზე დაუხვდება პოეტს. რასაკვირველია, ისე მკაცრათ და ლანძღვით გააგდებს გარეთ, როგორც მთელი იმის სიცოცხლის, მთელი მისი ბედნიერების ჩამფუშველს ეკადრება. მაგრამ ქალს ესმის მეორე ოთახიდამ ამათი ხმაურობა და თხოულობს, რომ კარი გაიღონ.

მეხუთე მოქმედებაში ეტყობულობთ, რომ ქალი ისევ წაიდა წინანდელ გზაზე, დაუბრუნდა თავის საყვარელს ძალით-პოეტს. ბაკი კი ლონე-მიხდილი, ყველაფერში გამტყუნებული, მიტოვებული ყველასაგან დაუბრუნდება თავის სენს და მიაღწევს იქამდის, როდესაც საშინელი სენი ყველაფერს ლონეს არომევს კაცს და ბოლოს ჰკლავს უმოწყალოდ...

კოტე მესხი.

ბარიჟი, 17 (5) ივნვარს.

ზიები, სამხედროც, შეუძლიანთ შესვლა ამ ინსტიტუტში.

მთელი პროექტი შეიცავს 160 მუხლს, რომელშიაც აღწერილია ინსტიტუტის წესდება. პროექტის განხილვაში, რომლის მომხსენებელი იყო ბატ. ტარასოვი, მიიღეს მონაწილეობა: ბ.ბ. ლიტოვსკიმ, სარაკინმა, სიმონოვიჩმა, ზროდლოვსკიმ, ბრეევერნმა, ᲣᲐᲖᲑᲔᲒᲛᲐ, ᲙᲝᲠᲝᲕᲐᲔᲕᲛᲐ და ᲓᲘᲜᲒᲔᲚᲨᲢᲔᲢᲛᲐ.

ᲔᲡ ᲞᲠᲝᲔᲥᲢᲘ ამ მოკლე ხანში წარედგინება ᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲐᲨᲘ „სწავლის გამნათლებლის“ მზრუნველს Კ. Პ. ᲞᲝᲑᲝᲡᲙᲘᲡ, რომლის წინადადებითაც იყო მიღებული კომისიისაგან ამ პროექტის შედგენა.

„ᲓᲠᲝᲔᲑᲘᲡ“ ᲙᲝᲠᲠᲔᲡᲞᲝᲜᲓᲔᲜᲪᲘᲐ

—

ᲑᲐᲗᲣᲛᲘ, 12 ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲡ. Დიდი ხანია არა მქონია ბედნიერება პატივცემული „დროების“ მკითხველებისათვის მეძღვნა ჩვენი ქვეყნის ანბები.—ᲔᲡ გარემოება საგრძნობელი და სამწუხაროა ჩემთვის, მაგრამ მიზეზებისა გამო სხვისა და სხვისა ამ ბედნიერებას მოკლებული ვიყავი. როგორც პატივცემული „დროების“ რედაქცია აგრეთვე ბევრი ჩემი ნაცნობები ჩემს გაჩუმებას ჩემს სიზარმაცეს აწერენ; მაგრამ ეს სრულებით არ არის; არის იმისთანა მიზეზები, რომლების აწერას მე მეტათა ესთვლი და ვითხოვ, რომ ჩემი გაჩუმება ჩემ ლერდნობათ არ სწამდესთ ჩემ ნაცნობებს.

მაშ ნება მიბოძეთ დავიწყოთ კიდევ ჩვენ ბათუმზე.

ჩვენს ბათუმში იმდენი მასალაა კორრესპონდენტისათვის, რომ ყოველ საათს თითო კორრესპონდენცია შეიძლება შესდგეს, მაგრამ ის მასალები იმისთანა საგნებიდან არის შემდგარი, რომ ამათზე ყურადღების მიქცევა მარტო ჩვენ მთავრობას შეეხება და რადგანაც ვხედავთ, რომ ყველა ამისთანა საგნების გაღვიძება უყურადღებოთ რჩება, ამისათვის სწორეთ გითხრათ, მეტიჩრობათ ჩაითვლება იმისთანა საგნებზე წერა, რითაც მკითხველების გულს ააღელვებ და ნაყოფი კი არაფერი გამოვა.

მაშ რა ექმნათ?! ის, მეტი არაფერი, რომ იმისთანა საგნებზე დავიწყოთ წერა, რომლითაც, როგორც იტყვიან, „ᲐᲠᲪ მწვადი დაიწვის და არც შამფური“.

ᲐᲘ ერთ იმნაირთაგანს მოგახსენებთ შემდეგს:

ბათუმის მაჰრის ხალხის მდგომარეობას ეჭვში შეჰყავს ადამიანი და ერთი დასკვნა ვერ გამოუყვანია—თუ რას უნდა მიეწერებოდეს იმათი მოქმედება და მღელვარება, შესახებ თავიანთი მამა-პაპეულის სახლების მიტოვებისათვის და გარდახვეწისათვის.

ᲔᲠᲗᲘᲡ მხრით მთელი ხალხი ემზადება გადასასახლებლათ და ამის თადარიგში არიან: მეორეს მხრით ხედავთ, რომ გადასახლებულები ხვეწნით და ტირილით ბრუნდებიან, „მიგვიღეთო“ და ჩვენი მთავრობაც თავიანთ ადგილებს, ყოველივე მიზეზის უთქმელათ, უთმობს და წყნარულობს იმათ, როგორც „უგუნურ შვილს“. (როგორც დაგვრწმუნეს, ᲐᲠᲗᲕᲘᲜᲘᲡ მაზრაში ვითომც 300 კომლამდი დაბრუნებულიყვენ).

თავადი Ლ. მელიქოვის ბათუმში მობრძანების დროს, ყოფილან ᲐᲠᲗᲕᲘᲜᲘᲡ მაზრიდან **ᲡᲐᲛᲐᲡ ᲡᲣᲚᲖᲔ** მეტი მზათ გარდასასახლებლათ, მაგრამ იმათ დახვედრია თ. Ლ. მელიქოვი და რომ გამოუკითხავს იმათი მდგომარეობა და შეუტყვია იმათი სიღარიბე, უბრძანებია, რომ, თუ დარჩებიან, იმათ სიღარიბეს უმაღლესს მთავრობას მოახსენებს და შემწეობას უბოძებს. Და მართლათაც, უბრძანებია იმათთვის ვისთვინაც ჯერ იყო, რომ იმათი სია წარედგინათ და წარუდგენიათ თუ არა, სია, მთავრობას უნებებია მარტო 230 სულისათვის თვითეულ სულზე 15 მანეთის შემწეობის მიცემა; ეს სუმა, მთავრობისვე გარდაწყვეტილებით, გარდაეცა ᲐᲠᲗᲕᲘᲜᲘᲡ მაზრის უფროსს, რომ დაურიგოს ხსენებულ ხალხს.

სასურველია, რომ ჩვენი მთავრობა უფრო ყურადღების თვალით შეხედავდეს ახალ შემოერთებული ადგილების მდგომარეობას და დარწმუნდებოდეს, რომ მარტო ცარიელი ადგილების დარჩენა ყოველ ნაირათ დასაკლისია ყველასთვის.

ᲙᲐᲠᲘᲜᲐ.

ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲬᲐᲠᲛᲝᲓᲒᲔᲜᲐ

ქორდღი, ტრაგედია Ფ. ანტონოვისა.

თეატრი ხალხით სავსეა; მაყურებლებს თვალიც უძღებათ და ყურიც სხვა-და-სხვა აჭრელებულის ტანისამოსის დანახვით, სხვა-და-სხვა ახირებულის ლექსებისა და პროზის სმენით. სცენაზედ თათრულის ტანისამოსით გამოდის ფაშის ქალი ზულნარა და მთელის შეკრებილების წინ წარმოსთქვამს მშვენიერს აზრებს, რომელიც, რასაკვირველია, ᲥᲝᲠᲥ ᲖᲐᲜᲓᲘᲡᲒᲐᲜ გამოხატულს ქალის სურათებს შეჰფერის, ვიდრე მუდამ ოთხკედელ შუა გამომწყვდეულს, გონებადაჩლუნგებულს თათრის ქალს. ამ ქალს უყვარს ყაჩაღი ᲥᲝᲠᲝᲚᲚᲘ, რომელსაც აგრეთვე ტყეში უსწავლია მჭევრ-მეტყველური ლაპარაკი და ᲕᲘᲥᲢᲝᲠ ᲰᲘᲣ�გᲝᲡ „ᲰᲔᲠᲜᲐᲜᲘᲡ“ მზგავსად ᲛᲮᲝᲚᲝᲓ სიყვარულით არის გატაცებული და მზათ არის ამ სიყვარულს შესწიროს ყოველისფერი, არ დაზოგოს მისთვის თავისი სიცოცხლეც.

აზრი, რასაკვირველია, კარგია; მაგრამ ᲨᲔᲰᲤᲔᲠᲘᲡ ეს აზრი ან ჩვენს ცხოვრებას, ან თათრებისას თუ არა, საჯოს მაყურებელმა.

თითონ პიესა „უცხო.“ მოთამაშეებზედაც ვერ ვიტყვით რომ რომელსამე მათგანს ხელოვნურად შეესრულებინოს თავისი როლი და ეს თითქმის შეუძლებელი იყო თითონ როლების უხეიროობის გამო. თუმცა საფაროვის ქალი და Კ. ᲞᲐᲨᲘᲐᲜᲘ სხვებზედ მეტად სცდილობდნენ რიგიანად წაეყვანათ პიესა, მაგრამ მაინც ვერ შესძლეს თავიანთ როლებისათვის სიცოცხლე დაეტყოთ რამე.

Ზ. მაჩაბელს რომ არ ემღერნა ის ემჯობინებოდა. სრულებითაც არ არის აუცილებლად საჭირო, როცა პიესაში სიმღერაა, მოთამაშემაც, თუნდა ხმაც არ ჰქონდეს, უეჭველად სიმღერით უნდა შეგვაქციოს.

ᲒᲐᲑᲣᲜᲘᲐᲡ ქალს მეტის-მეტად ეტყობოდა, რომ ყოველის თავის ქცევით ტაშის გამოწვევა ჰსურდა. რას ჰგავდა ან ისე უმართებულოდ ფანჯარაში გადასვლა-გადმოსვლა, ან „ᲫᲘᲩᲥᲘᲜᲔᲡ“ მაგივრად, ორჯერ-სამჯერ განგებ „ᲥᲩᲥᲜᲔᲡ“ თქმა. თუ თავის ხელოვნება უყვარს, ისა სჯობს ამ ხალხის გასაცინებლად მოგონილს უმარილო სიტყვებს თავი დაანებოს და თავის როლი კარგად ისწავლოს ხოლმე.

ჩვენ გაგვაკვირვა აგრეთვე მაქსიმიძის უმართებულო გამოსვლამ სცენაზედ. მაქსიმიძეს დაჰვიწყვებოდა, რომ ის მუსულმანს არდგენდა და შარბათის სმამ არ იცის არც ფეხების არევა, არც ენისა.

თუმცა წარმოდგენას ზოგიერთი ნაკლულევანება ეტყობოდა, მაგრამ გარეგანის მხრივ ისე ჩინებულად იყო ეს პიესა ნათამაშევი, რომ ყოველივე ნაკლულევანება დაიფარა და მეტადრე უკანასკნელმა სცენამ, სადაც ᲥᲝᲠᲝᲚᲚᲘ ანთავისუფლებს თავის ამხანაგს ᲓᲔᲰᲣᲠᲩᲝᲚᲚᲘᲡ და ჰხოცავს ჯალათებს, აღტაცებული ტაშისკვრა გამოიწვია. მართლაც, ეს სცენა ისე ჩინებულად იყო დეკარაციულის მხრივ წარმოდგენილი, რომ საუკეთესო ოპერასაც კი არ შეარცხვენდა.

ᲠᲣᲡᲔᲗᲘ

—

უცხო ქვეყნის გაზეთებში იწერებიან, ათი ათასი ნესტორიანი—სომხები, ქურთებისაგან შევიწროებულნი, სთხოვენ ᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲘᲡ ᲜᲐᲛᲔᲡᲢᲜᲘᲙᲡᲐᲝ, რომ მათ მიეცესთ ნება რუსეთში გადასახლებისა.

—

რუსის ელჩი თავრიზში აცნობებს უცხო ქვეყნების სამინისტროს, რომ თავრიზის მაზრაში სპარსელებს თავს დასხმიან ქურთები, და გადმოუდევნიათ რუსეთის სამფლობელოში.

—

გაზეთ „ᲗᲘᲠᲚᲘᲡ“-იდამ მოგვყავს ცნობა შესახებ პეტერბურღის გუბერნიის სახალხო სკოლების მასწავლებელთა კრებისა, რომელიც იყო პეტერბურღში ამ 4 იანვარს.

სხდომა გაიხსნა მასწავლებლის ლავროვის რეფერტის კითხვით სახელოსნო მუშაობის შემოღებაზედ სახალხო სკოლებში.

Ბ. ᲚᲐᲕᲠᲝᲕᲘ სთქვა, რომ ხელოსნობის ნაკლებად ცოდნა ძვიელ საგრძნობელია გლეხ-კაცებისათვისაო. ᲥᲐᲚᲐᲥᲨᲘ ვინც სწავლობს ხელოსნობას ძვირათ ბრუნდება სამშობლოში ოფელში. ამის გასწორება შეუძლია მხოლოდ კანონიერად შედგენილს სოფლის სკოლას თავის სახელოსნო სამუშაოთი. ᲐᲛ ᲒᲕᲐᲠᲘ ᲡᲙᲝᲚᲐ, რასაკვირველია, ვერ გამოუშვებს დახელოვნებულს და გამოცდილ ოსტატებს, მაგრამ მოგვცემს იმისთანა კაცებს კი, რომელნიც შეჩვეულნი იქნებიან ადვილად გააკეთონ უსაჭიროები უბრალო ნივთები და იარაღები ოჯახში.

„სხვა-და-სხვა ხელობის სწავლის შემოღებით თვითონ სკოლაც მოიგებდა გლეხების თვალში, ავრძნობინებდა თუ რამდენათ სასარგებლოა სკოლა იმათთვის პირ-და-პირ ცხოვრებაში, და ეს უფრო წაახალისებდა გლეხებს გაეგზავნათ თავიანთი ბავშვები სკოლაში. Ბარდა ამისა სკოლა მიაჩვევდა ყმაწვილებს, რომ თავისუფალი დრო უსარგებლოდ არ უნდა დაჰკარგონ. ᲐᲛᲐᲡᲗᲐᲜᲐᲕᲔ უნდა დაუმატო, რომ, როგორც გვიჩვენებს დიდი ხნის გამოცდილება, სახელოსნო სწავლა სრულებით არ უშლის საგნების შესწავლას; პირ-იქით ამ შემთხვევაში საგნების შესწავლა უფრო უკეთ მიდის.“

ᲐᲛᲘᲡ შემდეგ Ბ. ᲚᲐᲕᲠᲝᲕᲘ შეუდგა იმის განხილვას—თუ რა ხელოსნობა უნდა ასწავლონ ყმაწვილს სკოლაში, რა დროს და ვინ უნდა ასწავლოს. ᲐᲛᲐᲖᲔᲓ ᲐᲘ ᲠᲝᲒᲝᲠᲘ იყო იმისი აზრი: ᲧᲛᲐᲬᲕᲘᲚᲡ უნდა ასწავლოთ ყველა ხელობა, რომელიც კი შეიძლება სახალხო სკოლაში რომელიმე ადგილას; რასაკვირველია უპირატესობა უნდა მიეცეს იმ ხელობას, რომელიც ადგილობრივ მოთხოვნილებით უსაჭიროესია; მხოლოდ ხელოსნობის შესწავლა უნდა დაიწყონ იქიდამ, რომელიც უფრო შეეძლება ყმაწვილებს, რომელიც უფრო მსუბუქია და უფრო საინტერესოა. ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲡᲜᲝ მუშაობა სკოლაში უნდა იყოს გაკეთილების შემდეგ ანუ საღამოს და თვითონ ხელოსნობის სწავლა უნდა მინდობილი ქონდეს ოსტატს, მაგრამ უთუოდ მასწავლებლის ზედა-მხედველობით.

ᲐᲛ ᲡᲐᲒᲐᲜᲖᲔᲓ ᲑᲐᲡᲛᲐ ᲐᲮᲡᲜᲐ, რომ მასწავლებლების უმეტესობა ეთანხმება სოფლის სკოლებში სხვა-და-სხვა ხელოვნების შემოღებას. ᲙᲠᲔᲑᲘᲡ უმეტესობამ მიიღო შემდეგი გარდაწყვეტილება: „სახელოსნო მუშაობა სახალხო სკოლებში მეტადრე სასურველია და სასარგებლო. ᲐᲛᲘᲡ წარმატება მხოლოდ მაშინ შეიძლება, თუ ამ მუშაობაზედ ზედა-მხედველობა ექნება მასწავლებელს.“

ᲣᲪᲮᲝ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡ

—

ᲡᲐᲑᲔᲠᲫᲜᲔᲗᲘ. ᲐᲗᲘᲜᲘᲓᲐᲛ იწერებიან, რომ მმართებლობას ჯარების რიცხვი 112,000-მდი აუყვანია მაისის შუა რიცხვებში კიდევ უნდა გამოიწვიონ რამდენიმე ათასი კაცი.

—

ᲝᲡᲛᲐᲚᲔᲗᲘ. საფრანგეთის მინის-

ტრების რჩევაზედ, უცხო ქვეყნების საქმეთა მინისტრმა ბარტელემი სანტ-ილერმა წარმოადგინა აზრი Ოსმალეთის მართებლობისა, რომელიც უარს აცხადებს მედიატორობით მოლაპარაკებაზედაო და თხოულობს შედგეს ᲙᲝᲜᲡᲢᲐᲜᲢᲘᲜᲔᲗᲝᲚᲨᲘ ელჩებისაგან კონფერენცია, რომელმაც ახლად გაიყვანოს Ოსმალეთსა და საბერძნეთ შუა საზღვარი. ამით Ოსმალეთსა და საბერძნეთს შუა საქმეები სულ სხვა მსვლელობას იღებენ.

შენიდამ ცნობაა, რომ ᲐᲕᲡᲢᲠᲘᲐᲡ მიუღია ეს Ოსმალეთის პირობები.

—

ᲡᲐᲤᲠᲐᲜᲒᲔᲗᲘ. ᲐᲮᲐᲚᲘ ᲞᲐᲠᲘᲥᲘᲡ მუნიციპალური რჩევა შესდგება 61 ძველის წევრისაგან ადრინდელი რჩევისა და 19 ახლად ამორჩეულებისაგან. ᲐᲛ 19 წევროთაგან 15 ეკუთვნის მარცხენა და 4 მარჯვენა გროვას პოლიტიკურის შეხედულობით ესენი განიყოფენიან: 39 რადიკალები, 32 ნამდვილი რესპუბლიკელები და 9 კონსერვატორი.

— 14 (2) იანვარს ნაპოლეონ მეოსამის მოსახსენებლად წმ. ᲐᲕᲒᲣᲡᲢᲘᲜᲔᲡ ეკლესიაში გარდაუხდიათ პანაშვიდი. დამსწრენი 700 სულამდისინ ყოფილან. ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲘᲓᲐᲛ გამოსვლის დროს პატარა შეტაკება მომხდარა პოლიციასთან.

ᲐᲕᲡᲢᲠᲘᲐ. ᲐᲕᲡᲢᲠᲘᲘᲡ მმართებლობამ მიმართა Ოსმალეთს, სერბიას და ᲑᲝᲚᲒᲐᲠᲘᲐᲡ, რომ ამათ გამოგზავნონ თავიანთი წარმომადგენელნი კონფერენციაზედ ᲕᲔᲜᲐᲨᲘ, რომელზედაც იქნება მოლაპარაკება Ოსმალეთის რკინის გზების ᲐᲕᲡᲢᲠᲝ-ᲕᲔᲜᲒᲠᲘᲘᲡ რკინის გზებთან შეერთებაზედ. Ოსმალეთმა კიდეც გაგზავნა თავისი წარმომადგენელები.

ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐᲜᲘ

ᲡᲐᲐᲕᲗᲝᲛᲧᲝᲤᲝ

ᲐᲕᲗᲝᲛᲧᲝᲤᲔᲑᲘ მიიღებიან დილის 9 საათიდამ 1 საათამდი.

ᲝᲠᲨᲐᲑᲐᲗᲡ. **კარანსკი**—ექიმი ბებიაობისა და ქალების ავათმყოფობისა; **გორალევიჩი** და **ლისიცოვი** შინაგან ავათმყოფობისა; **როტენიანცი** ქალებისა და ყმაწვილების ავათმყოფობისა; **ბაბაევი** ძარღვების სისუსტისა და შინაგან ავათმყოფობისა; **შტემბორსკი** ვენერიული და ტყავის ავათმყოფობისა; **ქიუჩარიანცი** ხიბულგიული და თვალების ავათმყოფობისა.

სამშაბათს. **მინკევიჩი**—ხიბულგიული ავათმყოფობისა; **რეიხი**—თვალების ავათმყოფობისა; **ბახუტოვი**—ბებიაობისა, ქალებისა და ყმაწვილების ავათმყოფობისა; **ლისიცოვი** და **გერმანოვი**—შინაგან ავათმყოფობისა; **პეტროვსკი**—ვენერიულ ავათმყოფობისა.

ᲝᲗᲮᲨᲐᲑᲐᲗᲘ **კარანსკი** და **ლისიცოვი** შინაგან ავათმყოფობისა; **ქიუჩარიანცი** და **შტემბორსკი**—რიფილიტიკული და ტყავის ავათმყოფობისა.

ᲮᲣᲗᲨᲐᲑᲐᲗᲘ **კარანსკი**—ბებიაობისა და ქალების ავათმყოფობისა; **როტენიანცი**—ქალებისა და ყმაწვილების ავათმყოფობისა; **ბაბაევი** ძარღვების სისუსტისა და ელეკტრო-ტერაპიისა **ლისიცოვი** და **პეტროვსკი**—შინაგან ავათმყოფობისა; **ქიუჩარიანცი** 1-ლი სიფილისტიკური ავათმყოფობის

პარასკევი. **მინკევიჩი**—ხიბულგიულ ავათმყოფობისა; **ბახუტოვი**—ბებიაობისა, ქალებისა და ყმაწვილების ავათმყოფობისა; **კარანსკი-ბელიანდოვი**, **ლისიცოვი** და **ვერმანოვი**—შინაგან ავათმყოფობისა; **შტემბორსკი**—ვენერიული და ტყავის ავათმყოფობისა.

შაბათი. **ლისიცოვი**—შინაგან ავათმყოფობისა. **რეიხი**—თვალების ავათმყოფობისა; **ბაბაევი**—ძარღვების სისუსტისა და შინაგან ავათმყოფობის; **ქიუჩარიანცი** 2-რე—ქალებისა და შინაგან ავათმყოფობისა; **პეტროვსკი**—ვენერიულ ავათმყოფობისა.

ᲝᲠᲨᲐᲑᲐᲗᲘ—კბილების ავათმყოფებს მიიღებს თავის სახლში მუდამ დროს ღარიბებს საავათმყოფოს ბარათებით.

მოკლეს დროში, ქართულის დრამატიკულის ხელოვნების მოსიყვარულეთაგან წარმოდგენილ იქნება „ᲛᲔᲓᲔᲘᲐ“ ისტორიული ტრაგედია, სამს მოქმედებად ნათარგ. **ივ. ჭერესელიძისაგან.**

მოქმედება წარმოდგება **საბერძნეთში**, ქალაქ **ᲙᲝᲠᲘᲜᲗᲨᲘ.**

(3 – 1)

ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘᲡ

ᲢᲠᲐᲜᲡᲞᲝᲠᲢᲜᲘ **ᲙᲐᲜᲢᲝᲠᲐ** ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘᲡ **ᲗᲣᲗᲣᲜᲝᲕᲔᲑᲘᲡᲐ.** **მ. ᲠᲝᲕᲘᲔᲚᲘ ᲘᲕᲐᲜᲔ ᲞᲐᲡᲘᲙᲝᲕᲘ**, სთხოვს საზოგადოთ ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘᲡ ᲚᲣᲑᲔᲠᲜᲘᲘᲡ მოვაჭრებსა და ეგრეთვე მქონებელსა

ᲒᲐᲛᲒᲘᲡᲐ

ვისაც აქვს გასასყიდი, მობძანდნენ **კანტორაში**, ᲑᲣᲚᲕᲐᲠᲘᲡ **პირ-და-პირ** **ᲘᲕᲐᲜᲔ ᲖᲔᲓᲒᲘᲜᲘᲫᲘᲡ** სახლში **საქალაქო ბანკის** ქვეშ, სადაც გაურიგდებიან ფასს ანუ **პირ-და-პირ** მოიტანენ და მაზინდაზედ მიიღებს **კანტორა**, ნაღდფულზედ. (5—1)

ᲐᲛᲬᲚᲘᲡ 7-ᲡᲘ ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲡ ᲑᲣᲜᲘᲑᲘᲡ ᲛᲐᲔᲓᲐᲜᲖᲔ, ᲑᲝᲚᲓᲤᲠᲣᲡᲐᲡ ᲪᲘᲠᲙᲘᲡ ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲗ ᲒᲐᲔᲮᲡᲔᲜᲘ

ᲖᲐᲚᲐ ᲒᲘᲛᲜᲐᲡᲢᲘᲙᲘᲡ ᲕᲐᲠᲯᲘᲨᲝᲑᲘᲡᲐ,

სადაც ყველა ხნის კაცებსა და ქალებს შეუძლიანთ გიმნასტიკური ვარჯიშობა დილის 8 საათიდამ საღამოს 10 საათამდინ.

დაწერილებით პირობების შეტყობა მსურველს შეუძლიან აქვე ზალის კანტორაში, რომელიც შუა დღიდამ 2 საათამდინ გაღებულია.

აქვე ასწავლიან კანკებით ცურვას და ვარჯიშობას ველოსიპედით; ასწავლიან აგრეთვე ფეხტოვანას. (6—1)

ᲐᲓᲕᲝᲙᲐᲢᲘ ᲔᲕᲒᲔᲜᲘ ᲓᲘᲛᲘᲢᲠᲘᲡ ᲫᲔ

ᲢᲘᲡᲐᲛᲘᲠᲝᲕᲘ

იცავს ყოველ-გვარ საქმეებს სასამართლოებში; აგრეთვე არდგენს ყოველ-გვარ საქმის ქაღალდებს, არზებს და აძლევს რჩევას.

ᲨᲘᲜ მიიღებს დილის 8 საათიდამ 11-მდინ და საღამოს 6 დამ 8-მდინ. **დგას „პარიჟის“ სასტუმროში, № 3, ᲑᲐᲚᲐᲕᲘᲜᲘᲡ ᲞᲠᲝᲡᲞᲔᲥᲢᲘ.** (3—3)

ᲨᲔᲜᲘᲨᲕᲜᲐ

რადგან მთელს ქვეყანაში გამოჩენილი და მიღებული წამალი. თმის გასამაგრებელი

ᲛᲐᲙ - ᲛᲐᲡᲢᲔᲠᲘ

ᲔᲠᲗᲝᲑᲘᲗ ᲑᲔᲕᲠᲘ ᲘᲡᲧᲘᲓᲔᲑᲐ, ᲗᲛᲘᲡ ᲒᲐᲫᲚᲐ ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲘᲡ ᲛᲐᲦᲐᲖᲘᲐᲨᲘ ᲐᲡ ᲬᲐᲛᲐᲚᲘ ᲔᲦᲚᲐ 2 ᲛᲐᲜᲔᲗᲐᲓ ᲓᲘᲠᲐ.

(100—95)

ᲙᲐᲢᲔᲜᲢᲘᲐᲜᲘ ᲨᲐᲠᲢᲙᲔᲑᲘ

თმებისათვის 1 მ. 50-დამ და ცხვნებისათვის 1 მ. 75-დამ; ყვავილები სახურავებით 2 მანეთიდამ; სარძეგვ 30 კაპ.; რუმკები 5 კ.-დამ; ფიფტრები (წყლის დასაწმენდი) 3 მ-დამ და ვედრები 1 მან-დამ; თეფშები 2 მ-დამ ინიდუკ; შოკოლადის კანფეთები 20 კ-დამ თითო უფთი და სხვ. ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲘᲡ ᲦᲐᲦᲐᲖᲘᲐᲨᲘ (100—81)

ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘᲡ ᲛᲐᲦᲐᲖᲘᲐ კომერციული ბანკის ქვეშ დაარსებულია ნამდვილი ჩაის გასასყიდლათ პირველი მოგრეფილისა და სუფეთესო ინგლისური საქონლისა: მაგალითებრ: თოფეებისა, რევოლვერებისა, კლიტეებისა, ჭურჭლეებისა, კრავატებისა, დანებისა, კოვზებისა, ჩაინიკებისა, შოკოლადისა, კაკაოსი, დუნებისა, სეზონისა, შჩოკებისა, ცხვირ-სახოცისა, ქაღალდისა, კარანდაშებისა, კალმებისა, უნაგრებისა, სუკრისისა (გემრიელი კლეშჩვინი ზეთისა) და სხვ. **ᲡᲐᲡᲒᲔᲜᲢᲝ** მაკინტოშის მოსასურავებს გასასყიდლად კანფეტების და ბატკერას და კაშ. მურაბისა, აგრეთვე ჩულქებისა და წინდებისა ნოტინგამიდამ. **ᲨᲔᲜᲘᲨᲕᲜᲐ** ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲨᲘ ᲡᲐᲒᲐᲖᲗᲝ ᲐᲓᲒᲘᲚᲘ. ᲨᲔᲛᲘᲫᲚᲘᲐ ᲨᲔᲛᲘᲡᲬᲘᲜᲐᲡᲬᲐᲠ ᲒᲐᲛᲝᲒᲖᲐᲕᲜᲘᲡ ᲡᲐᲒᲐᲖᲗᲝ ᲐᲓᲒᲘᲚᲘ.

ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲘᲡ ᲛᲐᲦᲐᲖᲘᲐᲨᲘ ისყიდება რევოლვერები, რომლითაც შეიძლება ოცი ავაზაკის ერთად მოკვლა, ფასი 1 მან. 50 კაპ. ᲨᲔᲔᲚᲐ **ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲘᲡ** იარაღები ისყიდება აქ 30 პროცენტ ნაკლებ ვირემც სხვაგან. (20—11)

ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘᲡ ᲛᲐᲦᲐᲖᲘᲐ

ᲔᲠᲔᲕᲜᲘᲡ მოედანზე № 2, კომერციულ ბანკის ქვეშ, დაარსებულია წმინდა ᲫᲘᲐᲮᲢᲘᲡ და **ᲩᲘᲜᲔᲗᲘᲡ** პირველი მოწვეის ჩაის გასაყიდველად და ასაუკეთესო **ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲘᲡ** საქონლებისა, მაგალითად: თოფების, რევოლვერებისა, ბოქლომთა, ტაბაკების (ფოდნოსი) კრავატების, დანა-ჩანგლების, საჩაიე, ჭიქების, შოკოლადის, კაკაოს, ᲒᲔᲛᲠᲘᲔᲚᲘ სუკრის ერბო, სასურნველის, საპონის, ცხვირ-სახოცების, შჩოთკი წინდების, ჩულქების, კარანდაშების, რკინის კალმების და სხვ...

(100—20)

ᲛᲘᲣᲮᲔᲓᲐᲕᲐᲗ იმისა, რომ ბაკა მოიმატა, საქონელი გაიყიდება ისევ იმ ფასად, როგორც წინეთ იყო: ᲒᲝᲜᲒᲝ-ᲩᲐᲘ 1 მ. 5 კ. და 1 მ. 10 კ.; სუფეთესო მინისგი 1 მ. 20 კ. და 1 მ. 40 კ., მშვენიერი კაისუ 1 მ. 60 კ. და 1 მ. 80 კ. ძრიელ კარგი ჩაი 2 მ. გირვანქა უქალალდოთ.

ინგლისური რევოლვერები 4 მ.—40 მანეთამდინ და თოფები 20—200 მანეთამდინ. **ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲘᲡ ᲛᲐᲦᲐᲖᲘᲐᲨᲘ.** სასგენტო ბარნსის უნაგრების გასასყიდლათ, ჯონსის კლიტეებისა, შოკოლადისა და ეკსტრაქტისა კაკაო ფრაის, რომელთაც დაიმსახურეს ᲨᲐᲠᲘᲟᲘᲡ მსოფლიო გამოფენაზედ ოქროს მედალი. გირვანქა არომატიული ჩაისა ლამაზი ჩაინიკით 1 მ. 65 კ. და სულ სუფეთესო 2 მ. 30 კ. გაჭრები მოიგებენ, თუ იყიდიან ᲑᲚᲝᲛᲗ **ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲘᲡ ᲛᲐᲦᲐᲖᲘᲐᲨᲘ.** მთელი კოსტიუმი 15 მ. სვეტების კონფეტები 60 კ. ერთი გირვანქა.

100—8

ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲨᲘ

„ᲘᲕᲐᲜᲔ ᲜᲘᲙᲝᲚᲐᲫᲘᲡ ᲓᲐ ᲨᲕᲘᲚᲔᲑᲘᲡ“

ᲛᲝᲓᲘᲡ ᲛᲐᲦᲐᲖᲘᲐᲨᲘ

ᲘᲡᲧᲘᲓᲔᲑᲐ ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲔᲠᲘ ᲠᲐᲪ ᲒᲘᲜᲓᲐ ᲡᲣᲚᲘᲠ ᲓᲐ ᲒᲣᲚᲘᲡ:

ᲛᲜᲓᲘᲚᲝᲡᲜᲔᲑᲘᲡ ᲢᲐᲜᲘᲡᲐᲛᲝᲡᲘ, ᲝᲥᲠᲝᲣᲚᲝᲑᲐ, დიდ-ძ ლი და ᲩᲘᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲨᲣᲨᲕᲔᲣᲚᲝᲑᲐ, ᲛᲨᲕᲔᲜᲘᲔᲠᲘ ᲡᲐᲪᲐᲕᲚᲘ ᲙᲐᲪᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲥᲐᲚᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲡᲐᲝᲪᲐᲠᲐᲕᲐᲤᲐᲓ. ᲬᲐᲠᲛᲝᲜᲘᲓᲒᲘᲜᲔᲗ: ᲞᲐᲠᲘᲥᲨᲘ ᲡᲐᲒᲐᲜᲒᲔᲑᲝᲓ ᲨᲔᲙᲔᲠᲘᲚᲘ ᲣᲞᲘᲠᲕᲔᲚᲔᲡᲘ ᲮᲐᲠᲘᲡᲮᲘ ᲞᲔᲠᲐᲜᲓᲔᲑᲘ ᲗᲘᲗᲝ 3 მ.Ნ. 75 კ. ᲘᲧᲘᲓᲔᲑᲐ! ᲑᲐᲠᲓᲐ ᲐᲛᲘᲡᲐ ᲡᲐᲖᲦᲕᲐᲠ-ᲒᲐᲠᲔᲗᲘᲡ ᲩᲘᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲩᲔᲥᲛᲔᲑᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐᲪ **ᲡᲘᲛᲢᲙᲘᲪᲔ ᲐᲥᲕᲡ ᲜᲐᲮᲔᲓᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲘᲚᲑᲘᲚᲔ ᲜᲐᲥᲡᲝᲕᲘᲡᲐ:** ძალიან ᲑᲔᲕᲠᲘ სათამაშოები ბავშებისათვის და სხვ. და სხვ.

ᲔᲠᲗᲘᲡ ᲡᲘᲢᲧᲕᲘᲗ, ᲕᲘᲡᲐᲪ ᲠᲐ ᲒᲠᲔᲑᲐᲕᲗ, შებძანდით **„ᲘᲕᲐᲜᲔ ᲜᲘᲙᲝᲚᲐᲫᲘᲡ ᲓᲐ ᲨᲕᲘᲚᲔᲑᲘᲡ“** მოდის მაღაზიაში და იქ იპოვნით ყველაფერს ძალიან ᲮᲔᲚ-ᲛᲘᲡᲐᲪᲔᲛᲘ ფასად, ასე რომ შემდეგში მუდამ მადლობელი იქნებით ამ მაღაზიისა. (10—7)

Дозволено цензурою. Тифлисъ 21 Января 1881 г. Типографія Меликова ᲒᲐᲛᲝᲛᲪ. Ს. ᲛᲔᲚᲘᲥᲘᲨᲕᲘᲚᲘ· ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲔᲑᲘ ᲘᲚ. ᲭᲐᲕᲭᲐᲕᲐᲫᲔ ᲓᲐ Ს. ᲛᲔᲡᲮᲘ